ნარდობის ხელშეკრულება N 20
(CPV კოდი 35900000)

ქ.თბილისი ივნისი, 2019წ.

ჩვენ, ერთის მხრივ **შპს „დიო“** - ს/კ 201946573 (ხელშეკრულებაში შემდგომ მოხსენიებული როგორც „მენარდე“, „მომსახურების გამწევი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ დაუშვილის სახითნომერი)და მეორეს მხრივ **სსიპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა“** ს/კ - **232 387 761**, (ხელშეკრულებაში შემდგომ მოხსენიებული როგორც „შემკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბუჯიაშვილის მიერ,

- იმის გათვალისწინებით, რომ მენარდე ახორციელებს მომსახურების გაწევას, რაც დაკავშირებულია ფარდა-ჟალუზების ან დანართი #1-ით გათვალისწინებული პროდუქციის დამზადებასა და მის სათანადო მონტაჟთან, ხოლო შემკვეთი საჭიროებს აღნიშნული მომსახურების მიღებას მენარდისაგან, მხარეები თანხმდებიან და დებენ წინამდებარე ნარდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება წამოადგენს მხარეთა მიერ, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, მიღწეულ შეთანხმებას (გარიგებას), რომელიც არეგულირებს მხარეთა კერძო ხასიათის ქონებრივ ურთიერთობებს.

1.2. მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთობის ძირითად პირობებსა და სტანდარტებს, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

1.3. ხელშეკრულების მუხლებით გათვალისწინებულ თითოეული მხარის უფლებას შეესაბამება მეორე მხარის ვალდებულება და პირიქით.

1.4. ხელშეკრულების მუხლებს გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა კანონმდებლობის დისპოზიციურ ნორმებთან მიმართებაში.

1.5. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის რეგულირებისას კანონმდებლობის დისპოზიციური ნორმების გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ნორმები ავსებენ ხელშეკრულებას, ან/და მათი გამოყენება აუცილებელია ხელშეკრულების მუხლების განმარტებისათვის.

1.6. თუ ხელშეკრულების მუხლები იძლევიან მათი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსით განმარტების შესაძლებლობას, ურთიერთობის რეგულირებისას გამოიყენება ის მუხლი, რომელიც მისი სათაურიდან გამომდინარე განკუთვნილია სპეციალურად მოსაწესრიგებელი ურთიერთობისათვის, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მუხლი რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება დასარეგულირებელი ურთიერთობის შინაარსს.

1.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დებულება მხარეთა მოლაპარაკების შედეგია და თითოეული მათგანის შინაარსზე თანხმობა დადასტურებულია მხარეთა ხელმოწერებით. აღნიშნული დებულებები არ წარმოადგენს სტანდარტულ პირობებს და მათ მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობით ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისათვის განსაზღვრული წესები.

მენარდე: _____ შემკვეთი: _____

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით, მენარდე კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, კერძოდ საკუთარი მასალით დაამზადოს „2.2“ პუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლების შესაბამისი ფარდა-ჟალუზი (ხელშეკრულებაში შემდგომ მოხსენიებული როგორც „ნაკეთობა“) და უზრუნველყოს მისი სათანადო დამონტაჟება შემკვეთის მითითების შესაბამისად, ხოლო შემკვეთი ვალდებულია მიიღოს აღნიშნული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

2.2. „2.1“ პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგნის მახასიათებლები განისაზღვრება შემდეგნაირად ან დანართი #1 შესაბამისად :

2.2.1. ფართობი: 115.55კვ.მ

2.2.2. მასალა: ვერტიკალური ფარდა-ჟალუზი

2.2.3. ფერი: ყავისფერი

2.2.4. მასალის წარმოშობის ქვეყანა: საქართველო

2.2.5. მასალის ბრენდი: შპს დიო

2.3. გარდა ნარდობის საგნის დამზადებისა, მენარდე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი ტრანსპორტირება შემკვეთის მიერ მითითებულ შემდეგ მისამართზე: თიანეთი,სოფ. სიმონიანთხევი და განახორციელოს მისი სათანადო მონტაჟი.

2.4. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სამუშაოს სანაცვლოდ, შემკვეთი ვალდებულია მოახდინოს საზღაურის ანგარიშსწორება მენარდის სასარგებლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, ოდენობითა და ვადებში.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1. წინამდებარეხელშეკრულებისმე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ჯამური საფასური განისაზღვრება 4800 (ოთხიათას რვაასი) ლარით, რაც მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადს.

3.2. (მეორე ვარიანტი: „3.1.“ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების საფასურის სრული ოდენობის ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდგომ, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მე-5 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის გაფორმებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.)

3.2.1. ამ მუხლის მიზნებისათვის მენარდის მიერ შემკვეთისათვის სსიპ შემოსავლევლების სამსახურის ვებ-პორტალზე გენერირებული სასაქონლო ზედნადების ან/და ხელმოსაწერად წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის 5 სამუშაო დღის განმავლობაში იგნორირების (საპრეტენზიო მიზეზების განმარტების გარეშე ხელმოწერაზე უარის თქმის) პირობებში, სამუშაო მიიჩნევა შემკვეთის მიერ მიღებულად და დაექვემდებარება ანაზღაურების ვალდებულებას.

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ფორმით. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში გადახდა უნდა განხორციელდეს მენარდის საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთან, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი თანხის ოდენობის მენარდის სალაროს ჩეკის გენერირებას და შემკვეთისათვის გადაცემას. უნაღდო ანგარიშსწორების პირობებში გადახდა უნდა განხორციელდეს მენარდის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების და მოქმედების ვადები

4.1. მენარდის მიერ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი უნდა შესრულდეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 კალენდარული დღის ვადაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის „3.2“ პუნქტით გათვალისწინებული არ არის მომსახურების ღირებულების საფასურის წინასწარ სრული ან ნაწილობრივი ანგარიშსწორების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების საგნის შესრულების ვადა აითვლება შემკვეთის მიერ განხორციელებული წინასწარი ანგარიშსწორების თარიღიდან.

4.2. „4.1“ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მომსახურების გაწევის დასრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს შემკვეთს ვადაგადაცილების განმაპირობებელი კონკრეტული საფუძვლის მითითებით, ხოლო საპატიოობის შემთხვევაში შემკვეთის მიერ გაზირებულ უნდა იქნას სამუშაოს შესრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნა.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე. ხელმოწერის თარიღი მითითებულია პირველ გვერდზე მარჯვენა ზედა კუთხეში.

4.4. წინამდებარე ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

4.4.1. მხარეთა შეთანხმებით;

4.4.2. ხელშეკრულების მოშლით - ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მეორე მხარის მიერ გაკეთებული გაფრთხილების უშედეგოდ გავლის შემდგომ;

4.4.3. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს დაუყოვნებლივ, რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისათვის 10 (ათი) დღით ადრე გაგზავნილი წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე მხარემ ვერ შეძლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის ან მისი ნაწილის ჯეროვანი შესრულება, ამასთან თუ აღნიშნული შეუსრულებლობა გამოსწორებადია, აღნიშნული შეტყობინება მოქმედებს, როგორც გაფრთხილება შესრულების გამოსწორებასთან დაკავშირებით, რომლის გაუთვალისწინებლობა 5 (ხუთი) დღის განმავლობაში გამოიწვევს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

მუხლი 5. ნაკეთობის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მენარდე უფლებამოსილია ნაკეთობის შემკვეთისათვის მიწოდებისას გააფორმოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქონლი/მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგს:

5.1.1. სსიპ შემოსავლევლების სამსახურის ვებ-პორტალზე გენერირებულ სასაქონლო ზედნადები;

5.1.2. სსიპ შემოსავლევლების სამსახურის ვებ-პორტალზე გენერირებულ საგადასახადო ანგარიშფაქტურა (შემკვეთის დ.ღ.გ.-ს გადამხდელად რეგისტრაციის პირობებში);

5.1.3. მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. მენარდის მიერ შემკვეთისათვის ნაკეთობის შესაბამისი წესით ფაქტობრივად გადაცემამდე ყველა ქონებრივი უფლება ნივთზე და ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი ეკუთვნის/აწევს მენარდეს, ხოლო შემკვეთისათვის მისი ფაქტობრივი გადაცემის მომენტიდან აღნიშნული რისკის/უფლების მატარებელი გახდება შემკვეთი.

5.3. მომსახურების გაწევის დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტში საამისოდ გათვალისწინებული თარიღი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის არარსებობის პირობებში სსიპ „შემოსავლების სამსახური“-ს ვებ-პორტალით გენერირებული სასაქონლო ზედნადების მე-18 პუნქტში მითითებული საქონლის ჩაბარების თარიღი.

5.4. მენარდე არ იღებს ვალდებულებას, შემკვეთისთვის ნაკეთობის შესაბამისი წესით გადაცემის შემდეგ, განახორციელოს სხვა დამატებითი სამუშაოები (ლესვა ან/და სამშენებლო ნარჩენების გატანა), თუ ეს სამუშაოები არ არის განსაზღვრული მიდინარე ხელშეკრულების მე-2-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით.

მუხლი 6. ნაკეთობის ნივთობრივი და უფლებრივი უნაკლობის შესახებ

6.1. მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.

6.2. ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ.

6.3. ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას.

6.4. მენარდისგანცხადებით:

6.4.1. ნაკეთობას არაქვსისეთიდაფარულინაკლი, რაცდაუმალაშემკვეთს დარისიარსებობაცშეამცირებდანაკეთობის ღირებულებას, ანხელსშეუშლიდანაკეთობის დანიშნულებისამებრგამოყენებას;

6.4.2. არარსებობსმესამეპირი, რომელსაცწინამდებარეხელშეკრულებისმოქმედებისგანმავლობაშიშეიძლებაჰქონდესრაიმესამართლებრივადდასაბუთებულიპრეტენზიანაკეთობისმიმართ;

6.4.3. არარისაღძრულისარჩელიმესამეპირისმიერნაკეთობაზე საკუთრებისანსხვა (მფლობელობის, სარგებლობის, საკუთრების) უფლებისმოპოვებისმოთხოვნით;

6.4.4. ნაკეთობა მარტივიწერილობითიანზეპირიგარიგებითმესამეპირისათვისარარისგადაცემულისარგებლობისან საკუთრების უფლებით.

მუხლი 7. გარანტია

7.1. მენარდეიძლევაგარანტიას, რომნაკეთობის ფაქტობრივი გადაცემის მომენტიდან ან/დამიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში, ნაკეთობის სწორიექსპლუატაციისპირობებში, მენარდის მიერწინამდებარეხელშეკრულებისსაფუძველზეგაწეულიმომსახურებაარწარმოშობსმისიშეკეთების, რეკონსტრუქციისანგანახლებისსაჭიროებას.

7.2. „7.1“ პუნქტშიმითითებულისაგარანტიოპერიოდისგანმავლობაში, წინამდებარეხელშეკრულებისსაფუძველზედამზადებულ და დამონტაჟებულ ნაკეთობაზე ნაკლისგამოვლენისშემთხვევაშიმენარდევალდებულიასაკუთარიხარჯებით, უზრუნველყოსგამოვლენილინაკლისჯეროვანიაღმოფხვრაშემკვეთისათვის დამატებითიანაზღაურებისმოთხოვნისუფლების გარეშე.

7.3. ამ მუხლით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები ვრცელდება ნარდობის საგნის ნივთობრივ უნაკლოობაზე, რაც შესაძლოა არსებობდეს მისი დამზადების დროს წარმოქმნილი დეფექტებისგან. აღნიშნული არ გულისხმობს ნარდობის საგნის ექსპლოატაციიდან გამომდინარე მიმდინარე სერვისის გაწევის ვალდებულებას მენარდის მხრიდან. მიმდინარე სერვისის საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები გააფორმებენ ამ გარიგებისგან დამოუკიდებელ ხელშეკრულებას.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე და თანხმდებიან, რომ ერთმანეთს აუნაზღაურონ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად მეორე მხარის მიერ განცდილი ზარალი.

8.2. ანგარიშსწორების ვადის ან ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევის პირობებში, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

9.1. წინამდებარეხელშეკრულებიდანგამომდინარეწარმოქმნილინებისმიერდავაანუთანხმოება უნდაგადაწყდესმხარეთამოლაპარაკებისგზით.

9.2. შეუთანხმებლობისშემთხვევაშისაქმესგანიხილავსსაქართველოსგანსჯადისასამართლო.

9.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1]ნაწილის საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მუხლი 10. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ

10.1. წინამდებარეხელშეკრულებითდადგენილიპასუხისმგებლობაგამორიცხება, თუვალდებულებათაშეუსრულებლობაგამოწვეულიამხარეთანებისაგანდამოუკიდებელიმიზეზებისგამო (ფორს-მაჟორულიგარემოებები).

10.2. მხარეშეიძლებადაეყრდნოსფორს-მაჟორულგარემოებას, როგორცპასუხისმგებლობისაგანგათავისუფლებისსაფუძველსმხოლოდიმშემთხვევაში, თუმანმეორემხარესწერილობითაცნობაფორს-მაჟორულიგარემოებისარსებობისშესახებასეთიგარემოებისწარმოშობიდანორისამუშაოდღისვადაში. თუშეტყობინებისმიმღებიმხარეარდაეთანხმებაფორს-მაჟორულიგარემოებისარსებობას, იგიშეტყობინებისმიღებიდანხუთისამუშაოდღისგანმავლობაშიატყობინებსამისშესახებმეორემხარეს. დავისშემთხვევაშიფორს-მაჟორულიგარემოებისარსებობისფაქტისმტკიცებისტვირთიეკისრებაიმმხარეს, რომელიცეყრდნობაფორს-მაჟორულგარემოებას, როგორცსაკუთარიპასუხისმგებლობისაგანგათავისუფლებისწინაპირობას.

მუხლი 11. მხარეთა ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტების შესახებ

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ცვლის მხარეთა შორის არსებულ ყველა იმ ზეპირ და წერილობით შეთანხმებას, ხელშეკრულებას და სხვა სახის აქტს, რომელიც არსებულ დ წინამდებარ ეხელშეკრულების დადებამდე.

11.2. თუწინამდებარეხელშეკრულებითარარისმოწესრიგებულიმხარეთაურთიერთობისყველაა სპექტი, გამოიყენებასაქართველოსკანონმდებლობითდადგენილიშესაბამისინორმები.

11.3. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

11.4. წინამდებარეხელშეკრულებაშედგენილიაორითანაბარიიურიდიულიძალისმქონეეგზემპლარად, ერთიგადაეცემამენარდეს,ხოლომეორეშემკვეთს.

მენარდე: _____ შემკვეთი: _____

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

მენარდე შპს „დიო“
ს/კ201946573
მისამართი: თბილისი, საბურთალოს ქ. #55
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22,
ა/ა GE72TB1959136080100001

თამაზ დაუშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

Dio LLC

Digitally signed by Dio LLC
Date: 2019.06.05 15:26:20 +04'00'

დასახელება: სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა
ს/კ 232387761
მისამართი: თიანეთი.სოფ.სიმონიანთხევი
საბანკო რეკვიზიტები : ლიბერთი ბანკის თიანეთის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
საბანკო ანგარიში: GE61LB0121132512711000

ხელმოწერა_____

მენარდე: _____ შემკვეთი: _____